ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 13

2024 წლის 27 ივნისი
ქალაქი ახალციხე

„ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს,

მუხლი 1
შევიდეს ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №31 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge. გამოქვეყნების თარიღი: 27/12/2023, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 190040000.35.138.016527) და ამოღებულ იქნას დადგენილებით დამტკიცებული დანართის (ახალციხის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესი) 27-ე მუხლი.

მუხლი 2.
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დავით ლომიძე